



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუცია-ღვალაძე თამარ ნესტორის ასული



თ. კუცია-ღვალაძე

კუცია-ღვალაძე თამარ ნესტორის ასული (22.II. 1902, აბაშა, - 26. XII. 1986, თბილისი), მკვლევარი, ბიბლიოგრაფი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართ. მუს. ხელოვნებისა და ბოტანიკური მეცნ. ბიბლიოგრაფიული კვლევის ფუძემდებელი. საქართველოს საპატიო (1960) და საქართვე. დამს. (1962) ბიბლიოთეკარი. საქართვე. კულტურის დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა თსუ-ის სიბერძნისმეტყველების ფაკ-ტი (1925). 1925 კ.-ლ-ის თანაავტორობით გამოიცა მნიშვნელოვანი ბიბლიოგრ. ნაშრომი „ტფილისის ბიბლიოთეკების ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი“. 1930- 34 მუშაობდა თბილ. საჯარო ბ-კაში (ამჟამად საქართვე. პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნ. ბ-კა) ცენტრ. წიგნსაცავის გამგის მოადგილედ და სწავლულ მდივნად, 1934-38 - ამავე ბ-კის იშვიათი წიგნების განყ-ბის

გამგედ. 1938-42 იყო ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. წიგნის პალატის მთ. ბიბლიოგრაფი, მონაწილეობდა „ ქართული წიგნის“ I (1629-1920; გამოიცა 1941) და II (1950-51) ტომების შედგენაში. 1945-71 იყო საქართვე. მეცნ. აკად. თბილ. ბოტანიკის ინ-ტის სამეცნ. ბ-კის გამგე, იმავდროულად (1945-51) - თბილ. ცენტრ. ბოტანიკური ბაღის სამეცნ. ბ-კის გამგე. 1947 გამოიცა კ. ლ-ის ფუძემდებლური ნაშრომი „ ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია“ (რედ. გ. ჩხიკვაძე), 1956 - „თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემათა სტატიების ბიბლიოგრაფია“, ხოლო 1960 - „თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია“. 1946-75 იყო საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკადემიის პრეზიდიუმის საბიბლიოთეკო სამეცნ. საბჭოს წევრი.

კ. ღ. ასევე ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობას. არის ლექსებისა და მხატვრული ნარკვევების ავტორი.

ლიტ.: მ ი ქ ა ძ ე გ., ღვანღმოსილი ბიბლიოგრაფი, „ნიგნის სამყარო“, 1986, №7;
ნ ა კ ა შ ი ძ ე თ., ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიის მოჭირნახულე, თბ., 1992.

ღ. ურუშაძე
